**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 84

ქ. ბათუმი 6 სექტემბერი, 2017 წ.

**2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებელ კონკურსში 65 წელს მიღწეული პირების არჩევის შესაძლებლობის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, 33-35-ე მუხლების, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს №01-08/58 ბრძანების, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის გიზო ფარცხალაძის (MES 3 17 00916866, 07.08.2017), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მარინა გიორგაძის (MES 3 17 00915678, 07.08.2017), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მარინა ქორიძის (MES 5 17 00916886, 07.08.2017), განათლების ფაკულტეტის დეკანის მადონა მიქელაძის (MES 1 17 00913326, 07.08.2017), ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ვლადიმერ ღლონტის (MES 1 17 01017290, 05.09.2017) მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დასაშვებად ჩაითვალოს 2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს №01-08/58 ბრძანებით გამოცხადებულ კონკურსში 65 წელს მიღწეული ან მეტი ასაკის პირების არჩევა ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე, განათლების ფაკულტეტზე და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და გაეგზავნოს შესაბამის ფაკულტეტებს.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**